მგზავრთა გადამყვანი ორგანიზაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი GLI/19-091925

გაცემულია: 01 / 03 / 2019

მზღვეველი:	სს არდი დაზღვევა		ს/კ: 404858631
	მისამართი:	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3.	ტელ.: 210 10 10
დამზღვევი:	შპს "ბიო 2019"		ს/კ: 412744437
	მისამართი:	ქ. ქუთაისი, ნიკოლოზ გოგოლიძის ქუჩა N57	ტელ.:
დაზღვეული:	შპს "ბიო 2019"		ს/კ: 412744437
	მისამართი:	ქ. ქუთაისი, ნიკოლოზ გოგოლიძის ქუჩა N57	ტელ.:
მოსარგებელი:	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეების ბაღდათის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება. დაზღვეულის მიერ მგზავრების ორგანიზებული ტრანსპორტირების მომსახურებები (01.03.2019წ გაფორმებული ხელშეკრულება N48)		

სადაზღვევო რისკები	
1	მგზავრის ჯანმრთელობის (სხეულის) დაზიანება
2	მგზავრის გარდაცვალება

ერთი მგზავრის სადაზღვევო ლიმიტი:	1 500,00	(ერთი ათასი ხუთასი) ლარი			
სადაზღვევო პრემია:	570,00	(ხუთას სამოცდაათი) ლარი			
სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები:	განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული „მგზავრთა გადამყვანი ორგანიზაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ" ხელშეკრულებით.				
მგზავრთა გადამყვანის განრიბი, მიმართულება,რაოდენობა	განისაზღვრება დანართი #1-ით				
დაზღვევის ტერიტორია:	საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა)				
დაზღვევის პერიოდი:		01.03.2019	-დან	26.04.2019	-ის ჩათვლით

პოლისის გაცემის საფუძვლები:					
1	მგზავრთა გადამყვანი ორგანიზაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები	№	GLI/GC		
2	„მგზავრთა გადამყვანი ორგანიზაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ" ხელშეკრულება	№	GLI/19-091925	თარიღი/Date:	01.03.2019
3	დამზღვევის მიერ შევსებული სადაზღვევო განაცხად-ანკეტა	№	GLI/19-091925	თარიღი/Date:	01.03.2019

ხელმოწერები:	
მზღვეველი	დამზღვევი
ARDI INSURANCE	Giorgi Amiranashvili Подписано цифровой подписью: Giorgi Amiranashvili DN: cn=Giorgi Amiranashvili, serialNumber=60001135301, o=Citizen, c=GE Дата: 2019.03.12 15:28:26 +04'00' Версия Adobe Acrobat Reader: 2019.010.20098

როცა ფიქრობ მხოლოდ კარგზე
JUST THINK OF BEST

„მგზავრთა გადამყვანი ორგანიზაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ“ ხელშეკრულება №GLI/19-091925

ერთი მხრივ, **სს არდი დაზღვევა** (შემდეგ – „მზღვეველი“), წარმოდგენილი მისი მონიტორინგის და მომსახურების დეპარტამენტის უფროსის ქ-ნი მაია ქამუშაძის სახით

და

მეორე მხრივ, **შპს „გიო 2019“** (შემდეგ – „დამზღვევი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის – ბ-ნი **გიორგი ამირანაშვილის** სახით,

საქართველოს კანონმდებლობისა და მზღვევლის „მგზავრთა გადამყვანი ორგანიზაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების" (GLI/GC) (შემდეგ – „დაზღვევის პირობები") გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგ სახელშეკრულებო პირობებზე:

1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს ხელშეკრულება არეგულირებს მზღვეველსა და დამზღვევს შორის ურთიერთობას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას. დაზღვევის ობიექტია, დაზღვეული რისკის მიხედვით, დაზღვეულის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფარგლებში მესამე პირ(ებ)ის ქონებრივი ან პირადი ზიანის მიყენება.

1.2. დაზღვევის პირობებით განმარტებული ტერმინები გამოიყენება ასევე ამ ხელშეკრულებისა და პოლისის მიმართ.

1.3. ამ ხელშეკრულებას გააჩნია უპირატესი ძალა დაზღვევის პირობების მიმართ, ხოლო პოლისს – ამ ხელშეკრულების მიმართ. საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არაა უშუალოდ ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება დაზღვევის პირობებით.

1.4. დაზღვევის მოქმედების წესები და ვადები განისაზღვრება დაზღვევის პირობებით.

1.5. სადაზღვევო ტერიტორია და დაზღვევის (ამ ხელშეკრულების მოქმედების) პერიოდი განისაზღვრება პოლისით.

2. სადაზღვევო თანხა. სადაზღვევო რისკები. უპირობო ფრანშიზა

2.1. მთლიანი სადაზღვევო თანხა არის: **50.000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.**

2.2. ერთი პირის (მოსარგებლის) ლიმიტი არის: **1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.**

2.3. თითო შემთხვევის ფრანშიზის ოდენობა არის: **0 %**

2.4. მხარეთა შორის სპეციალური დათქმა: **დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა (ბაღდათის მუნიციპალიტეტი) დაზღვეულის მიერ მგზავრების ორგანიზებული გადაყვანის პროცესსა და ფარგლებში, ტენდერის პირობების შესაბამისად. (01.03.2019 გაფორმებული ხელშეკრულება N48)**

2.5. დაზღვევა ძალაშია მხოლოდ დაზღვევის პერიოდში, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული დაზღვეულისა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო რისკებისათვის.

2.6. თუ დამზღვევი იმავდროულად დაზღვეული არ არის, მან უნდა უზრუნველყოს, რომ დაზღვეული გაეცნოს დაზღვევის პირობებს. ამასთან, მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას, მისცეს დამზღვევს (დაზღვეულს, მესამე პირს) ყველა საჭირო განმარტება მოცემული დაზღვევის თაობაზე.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1. პრემიის ოდენობაა: **570 (ხუთას სამოცდაათი) ლარი**

3.2. დამზღვევი მზღვეველს პრემიას უხდის ერთჯერადად,

- **570 (ხუთას სამოცდაათი) ლარი.** 01.03.2019წ

შემდეგ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით:

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია **ბ/კ UGEBGE22** **GE66VT6600000808033608**

3.3. პრემიის გადახდამდე, ასევე პრემიის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი ნაკისრი ვალდებულებისგან თავისუფლდება.

3.4. მზღვეველის პასუხისმგებლობის მოცულობა და სადაზღვევო ანაზღაურების წესი განისაზღვრება დაზღვევის პირობებით და კანონმდებლობით.

4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში.

4.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულების შესრულება, გონივრულ ვადაში აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ. ფორს-მაჟორის ფაქტი შემდეგ ობიექტურად უნდა დადასტურდეს.

5. დავის გადაჭრა. ზიანის ანაზღაურება

5.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავა წყდება მოლაპარაკებით. თუ შეთანხმება ამ გზით ვერ მიიღწა, მაშინ დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ბრალის ფარგლებში, თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი და გაწეული ხარჯები.

6. ხელშეკრულების მოშლა

6.1. ამ ხელშეკრულების მოშლის საფუძველი შეიძლება გახდეს:

6.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

6.1.2. მხარის ინიციატივა, თუ მეორე მხარე არღვევს და, მოშლის შესახებ გაფრთხილებისა და არანაკლებ 2-კვირიანი დამატებითი ვადის მიცემის მიუხედავად, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. თუ დამრღვევი დამზღვევია, მზღვეველს უფლება აქვს ამ ვადით შეაჩეროს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა.

6.2. მხარეს, რომლის ვალდებულების შეუსრულებლობა არაა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის მიზეზი, შეიძლება წარმოეშვას მეორე მხარისგან მოშლამდე მიუღებელი ვალდებულების შესრულებისა ან/და მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

7. კონფიდენციალობა

7.1. ყოველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაახმაურონ მეორე მხარის კონფიდენციალური/საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

7.2. კონფიდენციალური/საიდუმლო არაა ინფორმაცია, რომელიც კანონმდებლობით საჯაროდ მიიჩნევა.

7.3. კონფიდენციალობის დარღვევად არ მიიჩნევა, თუ მხარე საჯაროდ ასახელებს მეორე მხარეს როგორც დაზღვევაში პარტნიორს.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით, შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს ამ ხელშეკრულებაში ან დაზღვევის პირობებში. შეთანხმებული ცვლილებების ამოქმედების დღიდან მხარეები ერთმანეთს შორის ანგარიშსწორებას (პრემია, სადაზღვევო ანაზღაურება) ახდენენ განახლებული შეთანხმების მიხედვით.

8.2. ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების გაბათილება არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. საჭიროების შემთხვევაში, ბათილი დებულება შეიცვლება ქმედითით.

8.3. ამ ხელშეკრულების განხორციელებისათვის საჭირო ყველა შეტყობინება და თანხმობა მხარეებს შორის შედგება წერილობით, ფაქსით ან შეთანხმებული ელექტრონული ფოსტით. თუ ეს მიზანშეუწონლად დამაყოვნებელია, შეტყობინება ხდება ზეპირად, შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში წერილობით დადასტურებით. ბრალის ფარგლებში, მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე მხარეს წარმოეშვება უფლება, არ შეასრულოს შესაგებელი ვალდებულება.

8.4. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად. ყოველ მხარეს თითო ეგზემპლარი გადაეცემა.

8.5. ამ ხელშეკრულებასთან ერთად ინახება დამზღვევის მიერ შედგენილი ერთი ან მეტი განაცხად-ანკეტა, რომელიც საფუძვლად უდევს ქონების შეფასებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

8.6. დაზღვევის პირობებს ასევე ხელი ეწერება ორმხრივად.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მზღვეველის მხრიდან		დამზღვევის მხრიდან	
საფირმო სახელი:	სს არდი დაზღვევა	საფირმო სახელი:	შპს გიო 2019
საიდ. კოდი:	404858631	საიდ. კოდი:	412744437
იურ. მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3	იურ. მისამართი:	ქუთაისი, ნიკოლოზ გოგოლის ქუჩა N57
ფაქტ. მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3	ფაქტ. მისამართი:	ქუთაისი, ნიკოლოზ გოგოლის ქუჩა N57
ტელ.:	(+955 32) 210 10 10	ტელ.:	
ფაქსი:	(+955 32) 251 85 14	ფაქსი:	
საკონტაქტო ელ.ფოსტა:	office@ardi.ge	საკონტაქტო ელ.ფოსტა:	
ბანკის კოდი:	ბ/კ UGEBGE22	ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი:	GE66VT6600000808033608	ანგარიშის ნომერი:	
ხელმოწერა:	ARDI INSURANCE	ხელმოწერა:	Giorgi Amiranashvili Подписано цифровой подписью: Giorgi Amiranashvili DN: cn=Giorgi Amiranashvili, serialNumber=60001135301, o=Citizen, c=GE Дата: 2019.03.12 15:30:10 +04'00' Версия Adobe Acrobat Reader: 2019.010.20098
თარიღი:	01.03.2019	თარიღი:	01.03.2019